ნიანგი

19

გამოცემის, 55-ე წელი, (№ 1533)· ოქტომბერი 1978, ფასი 20 კაპიკი·

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ჯ. ლოლუასი

— ... თვითმოქმედი ანსამბლი შეასრულებს სიმღერას — „ო, მამი, მამი, ბლუ!“

ზეიმობს გმირი საბჭოთა ხალხი
კონსტიტუციის პირველი წლისთავს!
ვერავინ ნახავს ჩვენს დროშას დახრილს! —
ამ დროშის ფერს და სიმაღლეს ვფიცავთ!

კონსტიტუცია მოქმედებს, ცოცხლობს
და ჩვენს მიღწევებს უდევს საფუძვლად,
გამარჯვებების აჩაღებს კოცონს! —
კაცობრიობას იმედს აღუძრავს!

დავიცავთ სისხლის, სიცოცხლის ფასად
მის ყველა სიტყვას — ზეალმაფრენას!
მისით აღმოვფხვრით ჩვენს ყველა ნაკლსა
და ნეგატიურ მოვლენას ყველას!

ყველა სიძნელეს მისით გავუძლებთ
და კომუნიზმის ბჭესთან მივიტანთ —
შრომის, მშვიდობის ძვირფას საუნჯეს —
ჩვენი ცხოვრების კანონს ძირითადს!

კონსტიტუციის ორ ტიტან ავტორს —
დიდება — დიად ხალხს და პარტიას!
მათი უქრობი ნათელი გვათოვს,
მათი ღვაწლია, რაც გვაბადია!

კონსტიტუციას — დიდება — ახალს! —
თავისუფლების დიდ მზეს დიდება, —
სულ რომ წინ და წინ, მაღლა და მაღლა
სამშობლოს ჩვენსას მიეზიდება!

ქარაგმები

● სამუშაო საათებში თუ არ იცით, რა უნდა გააკეთოთ, მაშინ იმუშავეთ!

● რაც უფრო ძირს დაუხრით თავს დირექტორს, მით უფრო ზევით ახვალთ!

● ნდობაში როცა შედიხარ, ფეხები უნდა გაიწმინდოთ!

● თუ გინდათ, მოსწყდეთ წარმოებას, წარმოებისაგან მოუწყვეტლივ უნდა დაამთავროთ უმაღლესი!

ავთანდილ ქიმერიძე

დიალოგები

— რას შვრება, კაცო, ჩვენი კადრების ინსპექტორი, სასწორზე რომ შეუყენებია ეს კაცი?

— მზარეულად აფორმებს და თავდაპირველ წონას ინიშნავს ანკეტაში.

—:—:—

— ის დაუწინაურებიათ!
— ვინ გითხრა?
— დღეს შემხვდა და გამარჯობა დაეზარა!
— მე კი ის დავინახე და გაღიმებული მომესალმა!
— რაზე მოხსნეს, ნეტავი?!

გიორგი დონდოლაძე

ხავერდოვანი სიზმარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ბარხატნი“ სეზონმა ეკონომისტ თენგო [illegible] საღერღელი აუშალა — მასაც გაუწია გულმა შავი ზღვისაკენ, ამიტომ, მეორე დღეს, დილიდანვე, უფროსს დაუდარაჯდა, რომ ხელი მოეწერინებინა საშვებულებო განცხადებაზე. ლოდინისგან ილაჯგაწყვეტილ თენგოს მოსაცდელში; სკამზე ჩამოეძინა და ძილში არაჩვეულებრივი სიზმარი ნახა:

...ნარნარად ლივლივებდა შავი ზღვა. ბიჭვინთის პლაჟზე ხალხის ტევა არ იყო. მთავარ კორპუსთან თავი მოეყარათ ფრანგ, იტალიელ და ესპანელ მზეთუნახავებს, შორიახლოს ამერიკელი ,ინგლისელი და ინდოელი ქალწულები ჩამომსხდარიყვნენ; ყველას სახე ჩამოსტიროდა; თარჯიმნის საშუალებით ადმინისტრატორს გული შეუწუხეს; თენგომ რატომ დაიგვიანა, ჩვენ დოლარები, ფრანკები, სტერლინგები და რუპიები გადასაყრელი კი არა გვაქვს, სასწრაფოდ შიკრიკი აფრინეთ და თენგო მოგვიყვანეთო! იგივე აზრისა იყვნენ აფრიკელი და ავსტრალიელი ლერწამ-ალვატანიანებიც. თენგო კი ამ დროს უფროსის კაბინეტს შტურმავდა:

— სად არის უფროსი?

— უფროსმა დარეკა, ცოტა შემაგვიანდებაო! — ენა დაებორკა მდივან ქალს.

— ოთხი საათით იგვიანებს და ცოტაა? — გამძვინვარდა თენგო — დაგვიანებისთვის ჩვენ თუ გვაძრობს ტყავს, მაგისთვის არ არსებობს კანონი, თუ?! — ამ სიტყვებზე გენგია მდივან ქალს ჯალათივით თავს დაადგა და შთააგონა, საბეჭდი მანქანით შემდეგი სიტყვები დაებეჭდა: „დაწესებულების უფროსს, ნებიერიძეს, გამოეცხადოს საყვედური სამსახურში დროზე გამოუცხადებლობის გამო და დაექვითოს კვარტალური პრემია!“

რაც უფრო იგვიანებდა უფროსი, მით უფრო მძაფრდებოდა ბრძანებები:

„განთავისუფლებულ იქნეს დაწესებულების უფროსი ნებიერიძე დაკავებული თანამდებობიდან შრომის დისციპლინის უხეში დარღვევისა და სამუშაოსადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის. მის ადგილზე დაინიშნოს მოადგილე ქებაძე!“

თენგო ხელის მოწერასაც აპირებდა ბრძანებაზე, მაგრამ ამ დროს დამლაგებელმა გამოაღვიძა: სამუშაო დღე მთავრდება და მოსაცდელი უნდა გამოვასუფთავოო. თენგომ ნამძინარევი თვალები სასწრაფოდ მოიფშვნიტა და ჭერს მიაჩერდა. უცებ თვალწინ ნათლად წარმოესახა ნარნარად მოლივლივე შავი ზღვა, ბიჭვინთის პლაჟი, უცხო მზეთუნახავები და ვხებააშლილი უფროსის კაბინეტის კარს ეცა.

— უფროსი ზღვაზეა! — აუწყა მდივანმა ქალმა.

მალხაზ ცოტაძე

— ამათ არ გააგებინოთ! აქ ვერ მოვხვდი და სოფელში მივდივარ სამუშაოდ!

წამება ვარსქენისა

მეოცე საუკუნესა, სამოცდამეთვრამეტე წელსა, ინტურისტთა სამყოფელსა წარემართა ვარსქენი, ძე არშუშაისი, რამეთუ პირველი იგიც იყო ნორმალურად ჩამცმელ-დამხურავი, ნაშობი მამისა და დედის, ჯერარ თაყვანისმცემელი „ჩექეზკისა“ — ქულაჯისა, შარვალ-ხალათისა , მოშიშარი ზომიერი ჩაცმულობისა.

რაჟამს წარდგა იგი წინაშე ინტურისტთა სამყოფელისა მეფისა ,ანუ ჰიპისა, არა თუ პატივის მოღებისათვის, არამედ ძღვნად თავის თავსა შესწირვიდა ჰიპისა მის მიმართ უვარგის-ყოფითა, ჭეშმარიტის სამყაროს ძალისათა და თაყვანის-სცემდა ჰიპობასა.

რამეთუ ითხოვდა მთავარი ჰიპი და ესრეთ ეტყოდა ვითარზედ: „რომელ იგი ბუნებით ცოლი არს და შვილნი იგინიც ესრევე მოვაქცინე შენსა ქცევასა, ვითარცა მე“.

და იმიჯნა ჰიპისაგან და ვითარცა მოიწია იგი საზღვართ პროსპექტებისა რუსთველისა და ბლეხანოვისა, სანატრელმა შუშანიკ, ვითარცა ასტროლოგმან ჰრქუა „უკეთუ სულითა ცხოველი არს, შენ გაქვენ თმები, გარდატევებული ვითარცა ერთი ვინმე შეურაცხთაგანი, და ვერვინ იკადრა თავსა შენსა დაბურვადა, ტანუბანსა ერთი წლის ხანობისა. რამეთუ ამის მიზეზადა ჰყოფ ებანოსა კომუნალურის წყალთაუარყოფლობას და აგრეთვე შენსა ხორცსა და სულს დაეუფლება ჟამი უსაქმურობის, მრავალსა ღება სამსახურების, და მიცემა თავის „ტუნიადეცობისა“. მერმე შუშანიკ მწარითა იტყოდა: „საწყალობელ იქმნა უბადრუკი იგი ვარსქენ, რამე თუ უვარ-ყო ჭეშმარიტი ჰიგიენა — სუფთა ტანსაცმლის ჩაცმა, ზარმაცობის შეყუარებაი, და თვისი თეთრეულის არ გარეცხვა და დაგდება ჩემს ანაბრადა“. რა ვერ გაუძლო ვარსქენისა ჰიპობასა, და ვითარცა მწუხრისა ჟამი აღასრულეს, შუშანიკმა მიატოვა სახლ-დარბაზნი მამამთილისანი და იქირავა სახლაკი ერთი მცირე მახლობლად ლოტკინის მთასა და შევიდა მუნ შინა სიმწრითა სავსე.

და შემდგომად ორისა დღისა მოვიდა მგელი იგი ნაქირავებსა ძმაკაცთა თვისთა და ჰრქუა: „შუშანიკ, ნუ მიტეხავ! დღეს მე და ჯოჯიკ და ცოლმან მისმან ერთად პური ვჭამოთ, ხოლო გოიმთ ნუ ვის უფლიედ ჩვენ თანა შემოსვლად“.

და ვითარცა მოიწია ჟამი შარაფისა, სახლსა ვარსქენისა მუნ, ცოლმან ჯოჯიკისა შუშანიკს მიართვა ღვინო ჭიქითა და აიძულებდა მას, რათამცა იგი ხოლო შესუა. ჰრქუა შუშანიკ რისხვით „ოდეს ყოფილა არს აქომამდე კონოს მაგიერ ესმიათ ღვინო-კეთებული“ და განყარა ხელი და ჭიქა იგი პირსა შეალეწა და ღვინო იგი დაითხია.

მაშინ იწყო უჯეროსა გინებად ვარსქენ და ფერხით თვისთა დასთრგუნვიდა მას და აიღო შუშანიკის კისერზე ბმული მძიმე ჯვარი და უხეთქნა მას თავსა და ჩაჰფლა და თვალი ორივ ლურჯად ჩაუმუქა ისე, რომ არ ენდომებოდის წამწამთა ფანქარ-ტუში, ხოლო შუშანიკმა შეიხსნა ქამარი „ვრანგლერისა“ და მრავალგზის უთავაზა ვარსქენსა თავსა, ვიდრე სიისლმა არ იხუვლა. შემდგომად წავიდა მთასა ლოტკინსა და ვანერთხო კითხვად ფოლკნერისა და კამიუსა.

და უთხრეს შუშანიკსა, ვითარმედ: „შვილნი იგი შენნი მიაქცინა მოგობისა“. მაშინ იწყო თაყვანის-ცემად და ტირილითა დიდითა ჰრქუა: „გმადლობ შენ, ჰიპო ვარსქენ ჩემო, რამეთუ იყვნესავე არა ჩემნი, არამედ შენნი მოცემულნი იყვნენ. ვითარცა გნებავს, იყავნ ნება შენი“! ე. ი., როგორც გინდა ,ისე მოუარე შვილებსო.

ხოლო ვარსქენმან გამოარჩია ძუძუსმეტე მისი საკუთარი, რათა მოიყვანოს იგი ლოტკინის მთასა და ჰრქუა. „ისმინე ჩემი, ნუ აოხრებ სახლსა მას თქვენსა, ნუ მიზეზობ ჰიპობასა ჩემსას, სინამდვილეში არ გეწადის შვილებისა შენი გაზრდა!“

არ ისმინა შუშანიკმა ვედრებაი ვარსქენისა და ჟამსა ორშაბათისა სასამართლომ განყარნა შუშანიკ და ვარსქენ.

შუშანიკს დაეკისრა ალიმენტის გადახდა, როგორცა შვილების უარმყოფელს და ოჯახის მიმტოვებელსა. ამასთან ჩამოერთვა დედის უფლება.

ვარსქენს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, ვერ ეღირსა ჰიპობისა თაყვანისცემასა.

ახლა მწუხრისა ჟამი დაუდგა ვარსქენსა: ზრდის შვილებსა ალიმენტითა, მორთმეულით შუშანიკისგან ყოველ თვესა. ხოლო შუშანიკი თავსა თვისას ჰიპობს!

ავთანდილ ცრუ-ტაველი

ნახ. გ. ლოვიჟისა



— როგორმე თავი შევიმაგრით, გაიაროს პატიოსანი კაცია!

კარდიოლოგიური იგავები

ბრიყვი ჩხიკვი

„ბარტყებს ცოლს დავაზრდევინებ,
მე ვიფრენ ზევით-ქვევითო!“
და ბრიყვმა ჩხიკვმა გუგულის
ტურფა ასული შეირთო.
ჯაფარამ ის ქნა, რაც მისთვის
არვის უქნია არასდროს:
ბარტყებს თვითონ ზრდის ჯახირით,
ცოლი ჩიტებში ნავარდობს.

ძუ იყოს, თუნდა ხვადია...

მეხორცე ყურშა დოვლათით
როცა ყელამდე აივსო,
მოხსნეს: — ხვადია მსუნაგი,
წამგლეჯი მიტომ არისო!
მეხორცის ადგილს უბაწროდ
მერე მურია მიება,
ჭამს!... უგნურს მართლა ჰგონია,
ძუა და ეპატიება!

ქიშვარდ ისაკაძე

ნახ. ჯ. ლოლუასი



ძღუნად თავსა თვისსა შესწირავდა

განყარა ხელი და ჰქონა იგი ჰირსა შეალეწა და ფენილი იგი დაითესა.

ეშმაკი თარიდა გულსა მისსა.

მიართუა ღვინი ჰქონითა და აიკულებდა მას, რაითამცა იგი ხელო შესუა.

შენი ადგილი დაგიბავეთიმეს და სხეულ ჩარხულ ხარ!

კარვინ შეველს ხილველ მისა, არცა მამაკაცი, არცა დედაკაცი!

თანაავტორობით დაწერილი სტრიქონები

მოგზავები

„ეჭუსი წელი
ცოხესა მას შინა აღსრულა!“
ახლაც ხვეპს ფულებს,
ფულებში ყელამდე ახლაც ცურავს!

ლოთი

როცა გადაყლაპავს ბაბუსს,
„წყარე გონებაი ჰქუს“.

განაწყენებული მწერალი — კრიტიკოსზე

სულ მთლად მომთხარა და
ლაფში დამფეს,
„დედებაი ჩემი
დამდაბლა“.

მზაკვარი

შეუბნებოდა:
„ხარ ჩემი მამა!“
მაგრამ „ზაკუვით
იტყოდა ამას“.

ვაი-მეცნიერს

თუმცაღა პროტექციით
კათედრაც შეგხვდა,
„მე არა ვეზიარო
საქმეთა შენთა!“

ზოგი სოფელი უმაღლეს-დამთავრებული განაწყენებაზე

გაგონებაც არ სურდა,
საერთოდ, სოფელს,
„ყეოდა და ინახდა,
ვითარცა ცოფი“.

ლოთის ცოლი

ცოლი, გადამკიდე
ლოთი ქმრისა,
„მჯიღითა სცემდა
პირსა მისსა“.

უკანონო ბინებჩამორთმეული

ვინც გაგგო
უკანონო ბინებიდან,
„აგინებდა
მას მრავლითა გინებითა“.

დასჯილი ანონიმისტი

„ვიხილე იგი
განმწარებული“,
მაგრამ სულიც არ
დამწყდა მე გული.

იაკობ ცურტაველის „ეუფანიკის ნაბეღების“ 1500 წლისთავისათვის



ნახ. ბ. ლოლიძისა

კარიერისტს

გატყობ, „ღუაწლსა
დდსა შესცთად ხარ“,
და, თუ შეხვედი,
შეგვხვრაკ, შეგვხანლავ!

მოგაუეჭელი მეუდველი

შესცა სითხე —
ნაყიდი ღვინოა! —
„და მწარითა
ცრემლითა ტიროდ“.

დედა — უსაქმურ შვილს

ვაი, შვილო,
უსაქმურად ბერდები და
ვერ გაშრომე
მე „მრავლითა ვედრებითა!“

გულქვა

„არცა ჭირი ეხილვა...
არცა „შიში“,
არაფის ედგა გვერდით
გასაჭირში.

კულტურის ძეგლთა განგებდამზიანებელი

რომ „მოვიდა
მგელი იგი ტაძრად“,
შიშისაგან
ფრესკებს სული გასძქრათ!

სპეკულანტი

ეტყვის მუშტარსა — იმპორტულ
საქონლის ბეგრის პატრონი —
ჩემს სახლში, „რაკამ დადამდეს,
მოვიდ შენ, ხოლო მარტო!“

ბიუროკრატთან

გამოდიოდნენ მთხოვნელნი
და „ცრემლოოდეს ყოველნი“.

ხულიგანს

სახლშიც ჩხუბი,
ცემა-ტყეპა შეგაქვს,
„ცოლი შენი
განდგომილ არს შენგან!“

გადაგვარებული

უღალატა თავის
ერს და ენასა! —
„ხახელიცა მათი
სძაგდა სმენ�“.

იაკობ ცურტაველი,
ზაურ ბოლქვაძე,
V—XX ს.ს.

ნაბეღები ნგრინლისა ეუფანიკისა

ი ო ა ნ ა მ ი ც ს ა ქ ე ო ნ ი ს „ ე ფ ე ს ი ს ა ნ ი ს ა“ ეკლესიაში ეკლესიასა ეფესელთა ეფესელ ეფესელ ეფესელ



ნახ. ი. ყეენაშვილისა

უსიტყვოდ

ქუთაისის სასწავლო-საწარმოო წამოწყების ქ. მახარაძის ჩიკარტების დამამზადებელ უბანს!

ძვიფასო მეჩიკარტე უბანო! ხომ არ გამოგითვლია, საშუალოდ, თქვენს მიერ გამოშვებული საკანცელარიო ასი ცალი ჩიკარტიდან რამდენი მაგრდება კედელზე და რამდენი ცვივა ძირს, შერცხვენილი და ცხვირმიჩყლეტილი?" ველით არა პასუხს, არამედ წვერმაგარ ჩიკარტებს!

პატივისცემით ც. აფციაური.

საკუთარი მარიფათი

„ვოლგიდან" ხვნეშა-ხვნეშით გადმოვიდა, გოგრასავით დაცვარულ თავკისერზე ერთხელ კიდევ ჩამოისვა ხელსახოცი და გულსმოფონებული ტახივით გაგორდა მდელოზე.

— ოიფ! გიშველათ ღმერთმა, აი ამას გიჩიჩინებდით... მოვაწყოთ ექსკურსია, მოვაწყოთ... სჯობს ამას რამე?!

„ვოლგის" უკან გაჩერებული ავტობუსიდან თანამშრომლები გამოიშალნენ.

— მშვენიერი ადგილია, ბატონო, ანტონ, ჰო, ჰო, რა მახვილი თვალი გაქვთ! — ფერხთით გაუგორდა ადგილკომის თავმჯდომარე.

—ხელმძღვანელობა, თორემ... კულტმასობრივი მუშაობა ნელია! — გადაუბღვირა „მესტკომს" მოადგილემ.

— თქვენთვის ვამბობ მე, ამხანაგებო, თქვენთვის, წადით, დაისვენეთ კულტურულად, გამოიცვალეთ ჰაერი და დასვენებული გონებით შეუდექით საქმეს! რა სჯობს ამას?

— მაგას რაღა უნდა სჯობდეს, ბატონო ანტონ!

— ესაა სიცოცხლე!

— მაგას ვამბობ მეც, ყველაფერს რომ შენი ხელით გააკეთებ კაცი, ისაა მადლი...

— თქვენი ბაგენი ღაღადებენ სრულ ჭეშმარიტებას! — ამოიკვნესა მოპოეტო ბუღალტერმა.

— მე, მაგალითად, ძალიან მიყვარს ასეთი რამ, აიღებ საკუთარი ხელით.. აბა, ქალებო, რაღას უყურებთ, ამოალაგეთ ჩანთებიდან ,თუ გაქვთ რამე... საკუთარი ხელით, შენ თვითონვე რომ გაშლი სუფრას... მანდ არა, კაცო, აგერ, ამ ხეების ქვეშ... ჩააცივებ შენი ხელით ღვინოს, ლიმონათს.. გოგია, გაიქეცი ერთი, ცივი ბორჯომი მომიტანე, ბაგაანიკშია... საკუთარი ხელით გაკეთებული მაინც სულ სხვაა... ელენე, ჭიქა მოიტა, შენს ქალობას. მოაგროვებ ფიჩხს, დაანთებ ცეცხლს სხვის გარეშე... რას დამდგომიხართ თავზე, ახალგაზრდებმა ფიჩხი მოაგროვეთ... კაცმა ყველგან ყველაფერი საკუთარი მარიფათით უნდა გააკეთოს... ივანე, რომ გამოგვიჭედე ყური, ძველი მონადირე ვარო, დაანთე ცეცხლი!.. ჰო, შენივე ხელით მოჭრი ხორცს, აგებ მწვადს... კალისტრატე, შენ კიდევ ჩემი თქმა გინდა? ამხელა ტყეში ერთი შინდის ხე ვერ უნდა იპოვო? ე, მასე, აბა, შენ იცი, კაი საშამფურეები აასხლიტე შინდს... ქალებო, რას უცდიო, ჩქარა კიტრი, მწვანილი, პამიდორი ჩაყარეთ წყაროში და მერე ჰე! ამას ჰქვია ნამდვილი დასვენება. მე მაინც ასე მიყვარს, შენ თვითონ რომ გაირჯები.. გულიკო, აბა, ხილს ერთი შენებურად, კოხტად მოუარე... საკუთარი მარჯვენით გაკეთებულ კრუშონს რაღა სჯობს, პაჰ, პაჰ, პაჰ, ვალიკო, სად ხარ, კაცო?! ჰო, საზამთროსა და ნესვს მიხედე... გემო სწორედ იმასა აქვს, კაცი შენი ხელით, საკუთრივ რომ დაამზადებ... კი, მაგრამ, ყარამან, შოთები წამოიღე?

— გახლავთ, ბატონო.

— მდა.. კაცმა ყველაფერი შენი ხელით, შნოთი და მარიფათით უნდა გააკეთო. მე ასე მიყვარს. სახლშიაც ასე ვიცი, თუ ჩემი ხელით არ გავაკეთე... რას შვრები, ნატო, ცოტა შეათბე ეგ კატლეტები... ადრე, ახალგაზრდობაში, წავიღებდით ხოლმე სამწვადეს, ბადრიჯანს... კი მაგრამ ბადრიჯანი და ცხვრის დუმა წამოიღეთ?

— კი, ბატონო.

— ასეა, კაცმა, საერთოდ, ცხოვრებაში ყველაფერი შენი, საკუთარი მარჯვენით უნდა გააკეთო, სხვის დაუხმარებლად...

— სუფრა გაშლილია, ბატონო!

— ჰოო, აბა, რაღას ვუცქერით... მანდ ერთი ორი პამიდორიც წამოაგეთ შამფურზე... აბა, დასხედით და მეც ახლავე მოვალ... ჩემს შოფერს მინდა რაღაც დავაბარო.

ბატონმა ანტონმა პატარა მდელო გადაიარა და ბუჩქებს მიეფარა.

— არ დაგვხოცა, ამ ოჯახქორმა?! ესაა კულტურული დასვენება?! რიღას გამკეთებელი ვარ ხვალ?! — აწითლებული, გახვითქული სახე მოაბრუნა ცეცხლთან ჩაცუცქულმა ყარამანმა და ერთი ლაზათიანად გადააფურთხა ნაცარში.

თამადად ნაკურთხი ბატონი ანტონი კარგა შებინდებამდე ატრიალებდა ყანწებს... საკუთარი ხელით.

ზ. ყორღანაშვილი

ეპიგრამები

ზარმაცი სავსე სუფრასთან

ჯავრი გძმარავდა მოლვაწეების,
გტანჯავდა ხსვათა ჯაფა და ღვაწლი!
გადმოანთხიე? როგორ გაწვალდ?!
არ უნდა გესვა ამდენი ანწლი!

კი-კი-კი...

როგორც გენებოს, გაიგე:
მხოლოდ გუბეა წყენარად!
ვინც ქვეყნად მარტო „კი" იცის,
მისი არა მწამს, არა!

მოხუცი პოეტის ფიქრები

არ დამკლებია არც მტრების ლანძღვა,
არც მეგობრების ქება-დიდება.
და განსხვავება ეს იყო მხოლოდ:
მტრებს ვიცნობდი და მეგობრებს — არა!

დამაჯერებელი კრიტიკა

დაწერენ წიგნის განქიქებას —
ვითომ კრიტიკას!
სიცრუის ზღვაა მოგუგუნე,
სიმართლის — წვეთი...
ამ გაუნდობელ მისტერიას
ბეჭდავენ ჩუმად,
თითქოს მოჰფინეს საიდუმლოს
სინათლის სვეტი!
„დაწერე თვითონ უკეთესი! —
ვურჩევ კრიტიკას, —
მკითხველი უფრო დაიჯერებს
ასეთ კრიტიკას!"

აკაკი გელოვანი

ნახ. ა. ერაძისა

უსიტყვოდ

ნახ. ა. გიორგაძისა



წერილების კვალდაკვალ

„ნიანგის“ მიმდინარე წლის მე-4 ნომერში დაბეჭდილ კრიტიკულ შენიშვნაში, სათაურით — „წერილები ნიანგს პასუხებიანად“ — აღნიშნული იყო, რომ **თიანეთის რაიონის სოფელ ხევსურთსოფელი სასმელი წყლის ნაკლებობას განიცდის.**

თიანეთის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომიდან შეგვატყობინეს, რომ წერილში აღნიშნული სინამდვილეა, რომ ხევსურთსოფელში, რომლის მოსახლეობა 400 კომლს აღემატება, ორი ათეული წლის წინათ გამოუყვანიათ სასმელი წყალი. დროთა განმავლობაში წყალსადენი ქსელი დაზიანებულა და მოშლილა. აღარც წყლის დებეტია საკმარისი. საჭიროა ქსელის შეცვლა-შეკეთება, სათავე ნაგებობის რეკონსტრუქცია, ახალი წყაროების მიერთება.

აღნიშნული სამუშაოებისათვის თანხისა და მასალის გამოყოფა სასოფლო და რაიონული საბჭოების შესაძლებლობებს აღემატება.

სახალხო დეპუტატების თიანეთის რაისაბჭოს აღმასკომი სთხოვს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მომავლისათვის გათვალისწინებული იქნეს სოფელ ხევსურთსოფლის წყალსადენის სარეკონსტრუქციო სამუშაოებისათვის საჭირო თანხისა და მასალის გამოყოფა.

— : — : —

ჟურნალის **მე-7** ნომერში სათაურით — „ნიანგი გისმენთ“! — გამოქვეყნდა კრიტიკული მასალა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ **წალენჯიხის რაიონში ზუგდიდ-ჯვრის მარშრუტის ავტობსუში მძღოლები მოსწავლეებს არ უშვებენ.**

წალენჯიხის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომიდან მოგვწერეს, რომ აღნიშნული ფაქტი დადასტურდა,

აღმასკომმა გამოყო სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა შეისწავლოს რაიონში ავტოტრანსპორტით ბავშვთა უფასოდ გადაყვანის შეხახებ კანონის შესრულების მდგომარეობა.

ახალი სასწავლო წლიდან იმ მოსწავლეებზე, რომელთაც უფასოდ გადაყვანის შეღავათი ეკუთვნით, გაიცემა სათანადო მოწმობები, რომლის მიხედვითაც დაევალება ავტოსატრანსპორტო საწარმოს ხელმძღვანელობას უზრუნველყოს ავტობუსის მძღოლთა მიერ მოსწავლეთა უფასოდ გადაყვანის კანონის დაცვა.

— : — : —

„პატარების სათხოვარი ნიანგს“ — ასეთი სათაურით ჩვენი ჟურნალის მე-12 ნომერში დაბეჭდილი წერილი ამხელდა ნაკლოვანებებს **დუშეთის რაიონის სოფელ შატილის სამედიცინო, სავაჭრო და კავშირგაბმულობის მომსახურების სფეროში.**

დუშეთის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომიდან მოგვწერეს, რომ წერილში აღნიშნული სინამდვილეა: 1977 წელს, ნაადრევად მოსული დიდი თოვლის გამო, შატილის გადასასვლელი ადრე ჩაიკეტა, ვეღარ მოესწრო მოსახლეობის მომარაგება საჭირო რაოდენობის სურსათით.

მიმდინარე წლის 11 ივლისს რაისაბჭოს აღმასკომმა იმსჯელა და დასახა ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

დუშეთის რაისაბჭოს აღმასკომმა რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებში დააყენა საკითხი ბარისახოში ცალკე საგზაო-საექსპლოატაციო უბნის შექმნის შესახებ, რაც უზრუნველყოფს ყინვალ —შატილის გზის დროულ გაწმენდასა და ნორმალურ ექსპლოატაციას (ამჟამად ამ გზას ემსახურება ტერიტორიულად საკმაოდ დაშორებული ფასანაურის უბანი).

აგრეთვე ეთხოვა სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს, ზამთრის პერიოდში, შატილში ორჯერ მაინც დაინიშნოს ვერტმფრენის მიმოსვლა.

ნიანგის ფოსტა

მცხეთის რაიონის სოფელ **კარსანი** ჯვარს შეჰყურებს და შენატრის: ნეტავ, შენი წყალი გადმომესხას — გზა მჭონდეს! აბა, ისეთ გზას, შენთან რომ მოდის, მე ვინ გამიკეთებს?! სიმართლე უნდა ითქვას, გზის შეკეთება (თუ ამ გზას გზა ჰქვია და თუ ამ შეკეთებას შეკეთება შეიძლება დაერქვას) ხშირად ხდება. მოიტანენ ორ მანქანა ქვიშას, დაყრიან, ამოავსებენ ორმოებს, დაფარავენ დიდ ქვებს. მოვა წვიმა, წაიღებს ქვიშას. დარჩება ქვა და ორმო. ძნელი წარმოსადგენია საავტომყოფო და ისიც სპეციალიზებული, სასმელი წყლის გარეშე. „წყლის საქაჩავი“ ზოგჯერ მუშაობს და ზოგჯერ სად რას „ქაჩავს“, ვერ გავიგე!

იქნებ, თქვენ მაინც გაიგოთ ჩვენი გაჭირვება, პატივცემულო რედაქციავ და დაგვეხმარეთ!

— : — : —

ჟინვალ-ჰესის მშენებლობას, აბა, წინ რა დაუდგება?! ადგილობრივი მცხოვრებლები სიხარულით შევხვდით ამ კეთილ და საშვილიშვილო საქმეს. ჩვენს კარმიდამოს მოვცილდით და იქვე, ახლოს, არანისის მინდვრებზე, დავსახლდით. ისე, მართლა მინდორზე რომ დავსახლებულიყავით, ის სჯობდა, ამ ახალ ვითომ კეთილმოწყობილ სახლებში შესახლებას. მობრძანდით, ჩვენი სახლები დაათვალიერეთ და დარწმუნდებით, რომ აქ სიტყვები „ხარისხი“ და „კეთილმოწყობა“ სიცილს თუ არა, ღიმილს მაინც გამოიწვევს თქვენში!

— : — : —

ამ მარათს **ზესტაფონიდან** გწერთ **გურამიშვილს ქუჩის** მცხოვრებნი. ჩვენი ქუჩა თითქმის ქალაქის ცენტრშია, იქ, სადაც საქვეყნოდ ცნობილი ქარხანაა, მაგრამ ჩვენ მაინც ორმოებს ვახტებით და კოღოები კი ჩვენ გვახტებიან. განცხადებებსა და საჩივრებს ბევრს ვწერთ, მაგრამ არ იქნა ამ ქუჩის შეკეთება.

ძვირფასო ნიანგო! აბა, არ გვჭირდება თქვენი დახმარება?!

— : — : —

თბილისში ცხოვრობთ, **ოქტომბრის ქუჩა №17, 18 და34-ში,** იქ, სადაც ვაგონშემკეთებელი ქარხანაა. ჩვენი სახლის წინ, ღია არხით, ჭუჭყიანი წყალი მოედინება, რასაც უერთდება ჩვენივე სახლების გაბინძურებული წყალი, რის გამოც გაჩენილია უამრავი კოღო. ძილი და მოსვენება არა გვაქვს, ბავშვები სკაფანდრებით დაგვყავს, ჩვენ კი პირბადეები შევიკერეთ და ხმალამოღებულები ვებრძვით ვირთხებსა და კოღოებს.

მოგვეხმარეთ, თორემ რიცხობრივი უპირატესობა თავისას იზამს!

ჟანი სიხარულიძე

ნახ. ელისო მაყაშვილისა

— *არ გაშალოთ, წვიმაში ფერი გადაუვა!*

მთავარი რედაქტორი **ზურღან გემაზაშვილი** **სარედაქციო კოლეგია: ზ. ბოლქვაძე** (მთ. რედ. მოადგილე) **ზ. კაციაშვილი, ჯ. ლოდუა, გ. ლომიძე, ნ. მალაზონია** (მხატვ. რედ.), **გ. ნიშნიანიძე, ბ. სიხარულიძე** (პ/მგ. მდივანი), **გ. ფირცხალავა, ო. ჭელიძე** ● **ტექნიკური რედაქტორი მ. კუხალაშვილი,** ● **სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“.** ● თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42; ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, გადაეცა ასაწყობად 6/IX-78 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/X-78 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1.7 ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. ● შეკვ. 2475. უე 00849. ტირ. 141.000 Тбилиси, пр. Руставели № 42. Сатирико-юмористический журнал «Нианги», ● Издательство ЦК КП Грузии. ● Типография Издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ნახატი თემების ავტორები: ვ. ახვლედიანი, ზ. ბოლქვაძე, ა. ერაძე, გ. ლომიძე, ე. მერაბიშვილი, ო. ჭელიძე, ი. ყელინშვილი.

ნახ. გ. ლომიძისა

სახიფათო „ცათამბჯენი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა